ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2160172

ნომერი: AR1334566

თარიღი : 13.08.2015

გაცემის თარიღი : 27.08.2015

გაცნობის თარიღი : 27.08.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N7 , (ნაკვეთი N38/43) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვალერი გელაშვილი პ/ნ LTU22074556
- რუსთაველის N14

ორგანიზაცია:
- შპს ლიტ ჯეო ინვესტი კოდი: 204531088

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 04 მარტის №1760139 და 2015 წლის 8 ივნისის №1941942 ბრძანებებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 13/08/2015წ. #AR1334566 განცხადებით მომართა შპს „ლიტ ჯეო ინვესტის“ დირექტორმა ვალერი გელაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2015 წლის 04 მარტის №1760139, 2015 წლის 8 ივნისის №1942407 და 2015 წლის 8 ივნისის №1941942 ბრძანებებში ხარვეზის გასწორება საკადასტრო კოდთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 იანვრის #22 განკარგულებით დამტკიცდა ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დადიანის ქუჩა #7–ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი. ამასთან, 2015 წლის 04 მარტის №1760139 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – ჩუღურეთი, ც. დადიანის ქუჩა №7(ნაკვეთი №38/43)/ქ. თბილისი, ც. დადიანის ქუჩა №7, შპს "ლიტ ჯეო ინვესტი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.16.02.038.072, შეთანხმებული გრგ–ს მიხედვით მე–2 სექტორში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის "ბ" ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. 2015 წლის 8 ივნისის №1942407 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მისამართზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის "ე-2" ბლოკის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, ხოლო 2015 წლის 8 ივნისის №1941942 ბრძანებით შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის "ე-1" ბლოკის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ნებართვების გაცემისას, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდად საჯარო რეესტრის ამონაწერში ფიქსირდებოდა №01.16.02.038.072 და ხსენებულ აქტებში ტექნიკური ხარვეზი საკადასტრო კოდთან დაკავშირებით არ არის დაშვებული.
საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, №01.16.02.038.072 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი გაიმიჯნა №01.16.02.038.073, №01.16.02.038.074, №01.16.02.038.075და№01.16.02.038.076 საკადასტრო ერთეულებად. მოგვიანებით, მითითებული საკადასტრო ერთეულების გაერთიანების შედეგად, საპროექტო მიწის ნაკვეთს მიენიჭა №01.16.02.038.077 საკადასტრო კოდი.
განსახილველი განცხადებით ვალერი გელაშვილი ითხოვს 2015 წლის 04 მარტის №1760139, 2015 წლის 8 ივნისის №1942407 და 2015 წლის 8 ივნისის №1941942 ბრძანებებში საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდად №01.16.02.038.072–ის ნაცვლად №01.16.02.038.077–ის მითითებას.
სამსახურის 19.08.2015წ. №2148981 ბრძანებით დაკმაყოფილდა ვალერი გელაშვილის 13.08.2015წ. AR1334819 განცხადება, ცვლილება შევიდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 08.06.2015 წლის №1942407 ბრძანებაში მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით და მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდად №01.16.02.038.072–ის ნაცვლად დაფიქსირდა №01.16.02.038.077. შესაბამისად, 08.06.2015 წლის №1942407 ბრძანებაში უკვე შეტანილია ცვლილება და დაფიქსირებულია ახალი საკადასტრო კოდი (№01.16.02.038.077).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშულიდან გამომდინარე და ვინაიდან, განხორციელებული ცვლილება (საკადასტრო კოდის შეცვლა, ფართობის უცვლელად) არ საჭიროებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 იანვრის #22 განკარგულებით დამტკიცებული საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტებში ცვლილების შეტანას, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება სამსახურის 2015 წლის 04 მარტის №1760139 და 2015 წლის 8 ივნისის №1941942 ბრძანებებში მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდთან დაკავშირებით.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 04 მარტის №1760139 ბრძანებაში, კერძოდ, საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდად №01.16.02.038.072–ის ნაცვლად მიეთითოს №01.16.02.038.077;
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 8 ივნისის №1941942 ბრძანებაში, კერძოდ, საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდად №01.16.02.038.072–ის ნაცვლად მიეთითოს №01.16.02.038.077;

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 04 მარტის №1760139 და 2015 წლის 8 ივნისის №1941942 ბრძანებებთან ერთად;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ, #6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.